ხელშეკრულება N 11

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

7 სექტემბერი 2016 წ

ერთის მხრივ, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ დოდო გაბისონიას სახით და მეორეს მხრივ, - ი/მ გიზო კორთხონჯია (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია სარემონტო სამუშაოების (spv 45300000) შესყიდვა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2723 (ორიათასშვიდასოცდასამი)ლარს.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებელის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარისშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბერი ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული

დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო რაოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელსეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირები

14.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.
14.3. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი

ი/მ გიზო კორთხონჯია

მისამართი: ქ. მარტვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: 29001002595

საბანკო რეკვიზიტები: მარტვილის

ლიბერთი ბანკის ფილიალი

საბანკო კოდი 220101439

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE31LB0112182551843000

---------------------/ გ. კორთხონჯია/

07. სექტემბერი. 2016 წ

შემსყიდველი

სსიპ - სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლა

მისამართი: მარტვილი, მუხურჩა

ტელეფონი: (577 12 58 36)

საიდენტიფიკაციო კოდი: N 235444319

საბანკო რეკვიზიტი:

საბანკო კოდი: მარტვილი ლიბერთი ბანკის

ფილიალი 220101439

ანგარიშსწორების ანგარიში: #
GE22LB0121115341969000

დირექტორი

---------------------/დოდო გაბისონია/

07. სექტემბერი 2016 წ

დამკვეთი; მარტვილის მუნიციპალიტეტის
სოფ.მუხურჩის საჯარო სკოლა
მოიჯარე: ი/მ გიზო კორთხონჯია
ხელშეკრულება # N11.

ობიექტი: მარტვილის მუნიციპალიტეტი
სოფ. მუხურჩის საჯარო სკოლის სასწავლო
კორპუსის შენობის სარემონტო სამუშაოები
სახარჯთაღრიცხვო ღირ 2723 ლარი
თარიღი: 13,09,2016 წელი

## შესრულებული სამუშაოების მიღების ფორმა №2

| № | სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება | განზომ. ერთეული | რაოდენობა | | სახარჯთაღრიცხვო ღირ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | განზომილების ერთ.-ზე | საპროექტო მონაცემებით | განზომილების ერთ.-ზე | სულ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | არს. დაზიანებული ფიცრული იატაკის მოხსნა | 100მ2 | | 0,38 | | |
| | შრომის დანახარჯი | კ/სთ | 28,90 | 10,98 | 8,57 | 94,12 |
| 2 | ხის კოჭების დემონტაჟი | მ3 | | 1,04 | | |
| | შრომის დანახარჯი | კ/სთ | 23,80 | 24,75 | 8,57 | 212,12 |
| | მანქანები | მან | 2,10 | 2,18 | 0,00 | 0,00 |
| 3 | ხის კოჭების მოწყობა დახერხილი მასალით 200X100 მმ | მ3 | | 1,04 | | |
| | შრომის დანახარჯი | კ/სთ | 23,80 | 24,75 | 8,57 | 212,12 |
| | ხის დახერხილი მასალა (მშრალი) | მ3 | 1,00 | 1,04 | 450,00 | 468,00 |
| | ლურსმანი | კგ | 14,80 | 15,39 | 2,30 | 35,40 |
| | მანქანები | მან | 2,10 | 2,18 | 0,00 | 0,00 |
| 4 | ფიცრული იატაკის მოწყობა პლინტუსით | 100მ2 | | 0,38 | | |
| | შრომითი დანახარჯი | კ/სთ | 78,20 | 29,72 | 8,57 | 254,67 |
| | ფიცრული იატაკი სისქ. 4 სმ | მ2 | 100,00 | 38,00 | 17,29 | 657,02 |
| 5 | ფიცრული იატაკის შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ | მ2 | | 38,10 | | |
| | შრომითი დანახარჯი | კ/სთ | 0,91 | 34,67 | 8,57 | 297,13 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 0,246 | 9,37 | 5,33 | 50 |
| | ჯამი | | | | | 2280,58 |
| | ზედნადები ხარჯები 10% | | | | | 228,06 |
| | ჯამი | | | | | 2508,63 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | 200,69 |
| | ჯამი | | | | | 2709 |

შემსრულებელი: გ. კორთხონჯია.

შემსყიდველი: დ. ზაზიაშვილი